ო ქ მ ი N8

ხობის მუნიციპალიტეტის მესამე მოწვევის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

ქ. ხობი 2017 წლის 27 აპრილი

ბიუროს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 13

ბიუროს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 13

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

1. ედიშერი ჯობავა
2. ნუგზარ შუშანია
3. გოჩა სიჭინავა
4. ლაშა ცატავა
5. დოდო გაბუნია
6. ტარიელ ალექსანდრია
7. თენგიზ აბაკელია
8. ლევან ქავთარაძე
9. როსტევან გვარამია
10. მალხაზ ლაგვილავა
11. ედიშერ წურწუმია

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა – საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის უფროსის მ. ნაჭყებიას 2017 წლის 24 მარტის N11/1061 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის 2016 წლის ანგარიშის მოსმენის თაობაზე“);

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე);

2. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2017 წლის 27 მარტის N03/1073 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის ანგარიშის მოსმენის თაობაზე“);

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

3. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის თ. გულუას 2017 წლის 6 აპრილის N27/12 განცხადების განხილვა („ფრაქციის წევრის რ. სერგიას მიერ ფრაქციის დატოვების თაობაზე“);

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

4. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2017 წლის 24 აპრილის N04/1518 და 2017 წლის 24 აპრილის N04/1525 წერილების განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე);

5. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „მაჟორიტარების“ თავმჯდომარის ვ. კუკავას 2017 წლის 24 აპრილის N183 განცხადების განხილვა (ფრაქცია „მაჟორიტარების“ შექმნის შესახებ);

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

6. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის ლ. ქავთარაძის 2017 წლის 26 აპრილის N30/09 განცხადების განხილვა („ფრაქციის წევრის გ. ზარანდიას მიერ ფრაქციის დატოვების თაობაზე“);

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

7. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2017 წლის 26 აპრილის N06/1553 წერილის განხილვა (პეტიციის წესით შემოსული საკითხების გადაწყვეტის შესახებ).

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის უფროსის მ. ნაჭყებიას 2017 წლის 24 მარტის N11/1061 წერილის განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის 2016 წლის ანგარიშის მოსმენის თაობაზე);

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ტ. ალექსანდრია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო ანგარიში ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის მიერ 2016 წლის სამუშაო გეგმის საფუძველზე ჩატარდა შიდა აუდიტორული შემოწმება ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დაფუძნებულ 3 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირში, ერთ შპს-ში და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ხუთ სტრუქტურულ ერთეულში. კომისიის სხდომაზე გამოიკვეთა, რომ საჯარო სამსახურებში საჯარო მოხელეთა და იურიდიულ პირებში დასაქმებული პირების სისტემატიურ გაცდენებს აქვს ადგილი, ასევე დგას სამსახურებში გამოცხედების პრობლემა, ეს პრობლემები იყო 2015 წლის ანგარიშის მოსმენის დროსაც, რაზეც გამგეობის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურს მიეცა რეკომენდაცია მსგავსი გადაცდომების აღკვეთის მიზნით მოეხდინათ შესაბამისი რეაგირება, თუმცა ეს საკითხი სრულად ვერ მოგვარდა. გამომსვლელის განცხადებით, კომისიის სხდომაზე სამსახურის ანგარიშის მოსმენისას, მათ გამოთქვეს მზადყოფნა, რომ მიმდინარე წელი უფრო მეტად ეფექტური და შედეგობრივად თვალსაჩინო იქნება. ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე კომისიამ იმსჯელა და ამ ეტაპზე სამსახურის მუშაობა შეაფასა დამაკმაყოფილებლად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი საკითხის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

2. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2017 წლის 27 მარტის N03/1073 წერილის განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის ანგარიშის მოსმენის თაობაზე);

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ნ. შუშანია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო ანგარიში ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (ოქმს თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი საკითხის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

3. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის თ. გულუას 2017 წლის 6 აპრილის N27/12 განცხადების განხილვა („ფრაქციის წევრის რ. სერგიას მიერ ფრაქციის დატოვების თაობაზე“);

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ნ. შუშანია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის განცხადება ფრაქციის წევრის რ. სერგიას მიერ ფრაქციის დატოვების თაობაზე (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ, როგორც განცხადებაში თანდართული ოქმიდან ჩანს, საკრებულოს წევრმა რ. სერგიამ პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც ბიუროზე ცნობად უნდა იქნეს მიღებული.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ განცხადებასთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

დაადგინეს: წარმოდგენილი ინფორმაცია ცნობად იქნეს მიღებული

4. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2017 წლის 24 აპრილის N04/1518 და 2017 წლის 24 აპრილის N04/1525 წერილების განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ტ. ალექსანდრია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხორციელდება შემდეგი სახის ცვლილება: მცირდება ბიუჯეტის ხარჯები 395,0 ათასი ლარით, კერძოდ: 395,0 ათასი ლარით მცირდება პრიორიტეტის „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია“ ასიგნებები. არსებული ნაშთიდან ხდება 235,1 ათასი ლარის ასახვა ადგილობრივი ბიუჯეტის ასიგნებებში. გამონთავისუფლებული 395,0 ათასი ლარი და ნაშთის 235,1 ათასი ლარი, სულ 630,1 ათასი ლარი სრულად მიიმართება პრიორიტეტის „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია“ ასიგნებებზე. ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 აპრილის N15 დადგენილების შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა სახის გადანაწილებები. ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა, ანუ შემოსულობების გეგმა შეადგენს 9426,0 ათას ლარს. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის წარმოდგენილის სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

5. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „მაჟორიტარების“ თავმჯდომარის ვ. კუკავას 2017 წლის 24 აპრილის N183 განცხადების განხილვა (ფრაქცია „მაჟორიტარების“ შექმნის შესახებ);

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ნ. შუშანია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „მაჟორიტარების“ თავმჯდომარის ვ. კუკავას განცხადება, ფრაქცია „მაჟორიტარების“ შექმნის შესახებ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და განაცხადა, რომ საკრებულოს სამი წევრის კახა მიქაბერიძის, ვასილ კუკავას და გენადი ზარანდიას მიერ წარმოდგენილ იქნა ფრაქცია „მაჟორიტარების“ რეგისტრაციის შესახებ დოკუმენტაცია. კომისიის მიერ შესწავლილ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მიგვაჩნია, რომ ის აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ფრაქცია „მაჟორიტარები“ დარეგისტრირდეს საკრებულოს ბიუროს მიერ და საკითხი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე ცნობის სახით

კენჭი ეყარა წინადადებას ფრაქცია „მაჟორიტარების“რეგისტრაციისა და წარმოდგენილი საკითხის ცნობისთვის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: რეგისტრირებულ იქნეს ფრაქცია „მაჟორიატარები“ და წარმოდგენილი საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

6. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის ლ. ქავთარაძის 2017 წლის 26 აპრილის N30/09 განცხადების განხილვა (ფრაქციის წევრის გ. ზარანდიას მიერ ფრაქციის დატოვების თაობაზე);

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ნ. შუშანია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის ლ. ქავთარაძის განცხადება, ფრაქციის წევრის გ. ზარანდიას მიერ ფრაქციის დატოვების თაობაზე" (ოქმს თან ერთვის) და განაცხადა, რომ, როგორც განცხადებაზე თანდართულ ოქმშია აღნიშნული, საკრებულოს წევრმა გ. ზარანდიამ პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო", რომელიც ბიუროს სხდომაზე ცნობად უნდა იქნეს მიღებული.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

დაადგინეს: წარმოდგენილი ინფორმაცია ცნობად იქნეს მიღებული

7. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2017 წლის 26 აპრილის N06/1553 წერილის განხილვა (პეტიციის წესით შემოსული საკითხების გადაწყვეტის შესახებ).

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე).

მოისმინეს: ტ. ალექსანდრია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის წერილი, რომლითაც წარმოდგენილია ინფორმაცია პეტიციის წესით შემოსული საკითხების გადაწყვეტის შესახებ (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ როგორც გამგეობის წერილიდან ირკვევა 1) ხობის მუნიციპალიტეტის თორსა-დღვაბის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ თორსის შიდა სასოფლო გზის სამ კილომეტრიან მონაკვეთზე არსებული სანიაღვრე არხების რეაბილიტაციის სამუშაოების ჩატარება ამ ეტაპზე შეუძლებელია, სამუშაოების შესასრულებლად საჭირო თანხის არ არსებობის გამო. სამუშაოს შესრულება შესაძლებელი იქნება ბიუჯეტში დამატებითი თანხის მობილიზების შემთხვევაში. 2) ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მაისისა და ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულებში სანაგვე ურნების განთავსებისა და ნარჩენების გატანის უზრუნველყოფა მოხდება უახლოეს პერიოდში. მუნიციპალიტეტს უკვე გადმოეცა ორი ერთეული ნაგავმზიდი მანქანა. გაკეთებულია მოთხოვნა 1.1 კუბური მეტრის ტევადობის ლითონის სანაგვე ურნების გადმოცემაზე, რომლის გადმოცემა უნდა განხორციელდეს უახლოეს პერიოდში და სანაგვე ურნები განთავსდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში. 3) ხობის მუნიციპალიტეტის ხეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ხეთაში არსებული სასაფლაოს ტერიტორიის შემოღობვის საკითხის მოგვარება ამ ეტაპზე შეუძლებელია, სამუშაოს შესასრულებლად

საჭირო თანხის არ არსებობის გამო. როგორც პირველ შემთხვევაში სამუშაოს შესრულება შესაძლებელი იქნება ბიუჯეტში დამატებითი თანხის მობილიზების შემთხვევაში. 4) ხობის მუნიციპალიტეტის ხამისქურის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ხამისქურში მდებარე საჯარო სკოლიდან ცენტრალურ საავტომობილო გზამდე გზის მონაკვეთის მოწყობასთან დაკავშირებით უახლოეს პერიოდში მომზადდება საპროექტო-სახარჯთააღრიცხვო დოკუმენტაცია. გურიფულის ადმინისტრაციულიი ერთეულის სოფელ პირველი გურიფულის ცენტრიდან სოფელ მეორე გურიფულთან დამაკავშირებელ ხიდამდე საავტომობილო გზის მონაკვეთის ბეტონის საფარის მოწყობა ამ ეტაპზე შეუძლებელია, ბიუჯეტში სამუშაოთა შესასრულებლად საჭირო თანხის არ არსებობის გამო. როგორც ზემოთ აღნიშნულ ორ სიტუაციაში, სამუშაოს შესრულება შესაძლებელი იქნება ბიუჯეტში დამატებითი თანხის მობილიზების შემთხვევაში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი საკითხის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა